ელენე ცხვარიაშვილი

საჯარო მმართველობის დოქტორი(Ph.D.)
ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

# ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა საქართველოში და მათი გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა

"Economic empowerment of women remains as one of the most important challenges"

***Abstract***

*Recently, Georgia has made significant progress in the direction of gender equality and women's empowerment.However, there is still a lot to be done in this regard. Economic empowerment of women remains one of the important challenges. The majority of the economically inactive population in Georgia is women. They are not adequately represented in the formal employment sector, nor are they paid equally.*

*Therefore, it is important to understand what factors hinder the economic empowerment of women, what are the dynamics of employment, whether the interests of women are taken into account during employment and what is the state policy in terms of economic empowerment of women.*

***Key words: women's economic situation, state policy, gender equality.***

***აბსტრაქტი***

*ბოლო პერიოდში საქართველომ მნიშვნელოვნად წაიწია წინ გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებით, თუმცა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. საქართველოში ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ისინი დასაქმების ფორმალურ სექტორში არ არიან სათანადოდ წარმოდგენილები და არც მათი ანაზღაურებაა თანაბარი.*

*გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია, გავიგოთ, თუ რა ფაქტორები აბრკოლებენ ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას, როგორია დასაქმების დინამიკა, ითვალისწინებენ თუ არა ქალთა ინტერესებს დასაქმების დროს და როგორია სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით.*

***საკვანძო სიტყვები: ქალთა ეკონომიკური მდგომარეობა, სახელმწიფო პოლიტიკა, გენდერული თანასწორობა.***

დღეს მთელი ცივილიზებული მსოფლიო აღიარებს ქალისა და მამაკაცის თანასწორობას. გენდერული თანასწორობა ადამიანის უფლებათა ნაწილია. ბოლო წლებში ეს საკითხი სულ უფრო აქტუალური გახდა და ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო. მათ შორის ეკონომიკასაც. ბიზნესში ტრადიციულად მამაკაცები დომინირებენ, თუმცა, პრაქტიკამ აჩვენა, რომ ქალებს არანაკლები კრეატიული, ინოვაციური და კომერციული აზროვნება აქვთ. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია საზოგადობის ყველა წევრის თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობებით უზრუნველლყოფა.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა წინ წამოსწია და დღის წესრიგში დააყენა ქალთა ეკონომიკური აქტიურობის საკითხი. გენდერული თანასწორობა ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს, რადგანაც იგი დასაქმების, კეთილდღეობის და შემოსავლების ზრდის საფუძველია.

საქართველოში, ისევე როგორც თითქმის მთელს მსოფლიოში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წლებთან შედარებით ამ კუთხით აღინიშნება პროგრესული ნაბიჯები, მაინც ბევრი პრობლემა არსებობს, მაგალითად, ქალთა დასაქმება. იმისათვის, რომ გენდერული უთანასწორობა აღმოიფხვრას სხვადასხვა დონეზე, საჭიროა ეკონომიკურ რესურსებზე თანაბარი წვდომა, ქალთა თანაბარი მონაწილეობა როგორც გადაწყვეტილების მიღების, ასევე ლიდერულ პოზიციაზე.

საქართველოში ეკონომიკურად არააქტიური მოსახლეობის უმრავლესობა ქალია. მამაკაცებთან შედარებით ისინი დასაქმების ფორმალურ სექტორში არ არიან სათანადოდ წარმოდგენილები და არც მათი ანაზღაურებაა თანაბარი. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია, გავიგოთ, თუ რა ფაქტორები აბრკოლებენ ქალების ეკონომიკურ მონაწილეობას, როგორია დასაქმების დინამიკა, ითვალისიწინებენ თუ არა ქალთა ინტერესებს დასაქმების დროს და სხვა. იმისთვის, რომ შევისწავლოთ გენდერული უთანასწორობის ეკონომიკური მხარე, საჭიროა გავაანალიზოთ ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი.

საქართველოს შრომის ბაზარზე მამაკაცებთან შედარებით ქალებს ნაკლები შესაძლებლობები აქვთ. ამის მიზეზია როგორც სისტემური უმუშევრობა, ასევე ოჯახში პასუხისმგებლობების, შრომისა და ზრუნვის არაპროპორციული განაწილება.

ქალთა ეკონომიკური სტატუსი რომ განვიხილოთ, საჭიროა გავითვალისწინოთ სამი ძირითადი გარემოება:

1. ეკონომიკური აქტიურობა
2. ეკონომიკური არააქტიურობა
3. უმუშევრობა

***ეკონომიკურად აქტიურია*** მოსახლეობა, ვინც დასაქმებულია ან ამ მომენტისათვის დაუსაქმებელია, მაგრამ დღემდე ატიურად ეძებდა სამსახურს.

***ეკონომიკურად არააქტიური*** მოსახლეობა არის მოსახლეობის ის ნაწილი(15 წლის და ზემოთ), ვინც არც დასაქმებულია და არც დღეისთვის ეძებს სამსახურს. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეკონომიკური აქტიურობის კუთხით ქალები მამაკაცებს ჩამორჩებიან.

***უმუშევრობა*** კი არის ისეთი მდგომარეობა, როცა პიროვნება (15 წელი და ზემოთ)არ არის დასაქმებული, მაგრად აქტიურად და წარუმატებლად ცდილობდა სამსახურის დაწყებას ბოლო ერთი თვის განმავლობაში.

აქედან დასკვნა: ის ადამიანები, ვინც არ მუშაობენ და არც სურთ მუშაობა, ან არ ეძებენ სამსახურს, უმუშევრად არ ითვლებიან.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია შრომის ბაზარში ჩართულობა. ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გულისხმობს, რომ პირი დასაქმებულია ან აქტიურად ეძებს სამუშაოს. ამ მხრივ მონაცემები შემდეგია: 2020 წელს ქალთა 16,2% უმუშევარია, ხოლო 20,2 %-კაცთა. 2021 წლის მონაცემებში 17,8% უმუშევარი ქალია, 22,7 % -კაცი.




**გრაფიკი #1 - უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში საქართველოში (2010-2021 წლები)[1]**

ეს მონაცემი შეიძლება ზოგიერთისთვის დამაბნეველი აღმოჩნდეს(რადგან კაცთა უმუშევრობის პროცენტული მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე ქალების) მაგრამ ახსნა მარტივია: უმუშევრად ითვლება ის, ვინც აქტიურად ეძებს სამუშაოს და მზად არის დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა. ქალები კი შრომის ბაზარზე ნაკლებად აქტიურები არიან, შესაბამისად მათი წილიც დაბალია.

ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სქესთა შორის **სახელფასო სხვაობაც.** 2020 წლის მონაცემებით სქესის მიხედვით დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ასეთი იყო: ქალი-952,2 ლარი, კაცი - 1407,7 ლარი. 2021 წლის მონაცემებით ქალი -1055,55 ლარი, კაცი-1537,9 ლარი.




**გრაფიკი #2- დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი სქესის მიხედვით ლარი[2]**

[1] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba (ბოლოს ნანახია 14.11.2022)
[2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi

ხელფასებში განსხვავება გენდერული მიმართულებით კვლავაც მნიშვნელოვანი რჩება, რადგან ქალთა უმრავლესობა მამაკაცთა საშუალო თვიურ ხელფასზე ნაკლებს იღებს.

**რა მიზეზიები აქვს ეკონომიკურ აქტიურობაში გენდერულ უთანასწორობას?**

1. საქართველოში მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძივობასთან შედარებით ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მაღალია. (77.7წ, 69.1წ-თან შედარებით). ანუ უფროსი ასაკის ქალთა რაოდენობა უფროსი ასაკის კაცებზე მეტია. სამუშაო ასაკს კი ზედა ზღვარი არ აქვს. შესაბამისად, სამუშაო ასაკის მქონე უფრო მეტი ქალია, ვიდრე მამაკაცი. 2020 წლისათვის ეს სხვაობა 167 800 -სს აღწევდა.
2. ქალთა საპენსიო ასაკი დაბალია მამაკაცების საპენსიო ასაკთან შედარებით (60-65 წელი). არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც პენსიაზე განსაზღვრულ დროს გადიან, მაგრამ ბევრიც მუშაობას პენსიის მიღების შემდეგაც აგრძელებს. გამომდინარე აქედან, პენსიონერი ქალები, რომლებიც არც დასაქმებულია და არც სამსახურს ეძებენ, უფრო მეტია ვიდრე მამაკაცები.
3. იმის გამო, რომ ქალთა უმეტესობა დაკავებულია არაანაზღაურებადი სახლის საქმით, ოჯახის წევრებზე ზრუნვით, მათ სამუშაო ბაზარზე მონაწილეობის მოტივაციაც დაბალი აქვთ. 2018 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე[3], ქალები საოჯახო საქმეებს და ზრუნვის შრომას 3-ჯერ მეტ დროს უთმობენ, ვიდრე კაცები. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დასაქმების შემთხვევაშიც ეს მოცემულობა დიდად არ იცვლება. აქედან გამომდინარე, ქალისთვის ოჯახის გარეთ მუშაობა მეორე სამსახურის ტოლფასია. საქართვლოში უმუშევარი ქალების დაახლოებით ნახევარი მათი უმუშევრობის მიზეზად არაანაზრაურებადი სახლის საქმეს, ავადმყოფების, ბავშვებისა და მოხუცების მოვლას ასახელებს.
4. საქართველოში აუნაზღაურებელ შრომაზე ქალები და კაცები სხვადასხვა დროს ხარჯავენ. ქალები - საშუალოდ კვირაში 45 საათს, მამაკაცები - 15 საათს. კოვიდ 19-ის პანდემიის დროს ამ კუთხით არსებული სხვაობა უფრო მეტად გაიზარდა. ქალები სახლში ყოფნის გამო დიდ დროს ახმარდნენ საოჯახო საქმეებს. პარალელურად მათი დიდი ნაწილი დისტანციურად ასრულებდა სამსახურეობრივ მოვალეობას, თანაც სასკოლო ასაკის შვილების ონლაინ სწავლებაშიც იყო ჩართული.
5. იმის გამო, რომ ყველა დედა ვერ ახერხებს ბაგა-ბაღებში სკოლამდელი ასაკის ბავშვების ტარებას, იძულებული არიან დატოვონ შრომის ბაზარი. შემდგომში კი მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებს სამსახურის პოვნას. ამის შედეგად ისინი ხანგრძლივად რჩებიან უმუშევრები და ითვლებიან ეკონომიკურად არააქტიურებად.
6. კოვიდ-19 პანდემიის დროს ყველაზე უფრო მოწყვლადი არაფორმალურად დასაქმებული ქალები იყვნენ. პანდემიის პერიოდში საზოგადოებრივი ტრანსპორტის არარსებობის გამო ბევრმა დასაქმებულმა დაკარგა სამსახური, შესაბამისად - შემოსავალიც. ამ ადამიანებს და მათ შორის ქალებსაც მოუხდათ საბანკო სესხის აღება ანდა ნაკლებად შემოსავლიანი და არასახარბიელო სამუშაოს დაწყება. ამ გარემოებამ მათ კეთილდღეობაზე იმოქმედა.

---

(ბოლოს ნანახი 14.11.2022)

[3] გაეროს ქალთა ორგანიზაცი, ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო 2021; https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-04/Country%20Gender%20Equality%20Profile%20GEO.pdf

7. საყურადღებოა ადრეულ ასაკში დაქორწინებულთა სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც 16-19 წლების დაქორწინებულ ქალთა რაოდენობა 2021 წლისთვის ქვეყნის მასშტაბით შეადგენს 1653; ხოლო 20-24 წლების რაოდენობა - 5718. ადრეულ ასაკში დაქორწინებულ ქალებს ხელი ეშლებათ განათლების მიღებაში, შესაბამისად, პროფესიულ განვითარებაში და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობაში.




**გრაფიკი #3- დაქორწინებულთა რიცხოვნობა ასაკისა და სქესისი მიხედვით, 2021 წელი[4]**

## საკანონმდებლო ბაზა და სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოში კონსტიტუციით აღიარებულია და დაცულია ადამიანის შრომითი უფლებები. შრომითი უფლებები დაცულია, აგრეთვე, შრომის კოდექსით, რომელშიც 2020 წელს ცვლილებები შევიდა. კოდექსი დამსაქმებლებს ავალდებულებს თანაბარი შრომის თანაბარ ანაზღაურებას. ცვლილება მოიცავს დეკრეტული შვებულების შემდგომ პროფესიულ გადამზადებას და სამსახურის შენარჩუნების გარანტიებსაც. თუმცა, კვლავ პრობლემად რჩება დეკრეტული შვებულების ღირსეული ანაზღაურებაც[5].

2021 წლის საშინაო სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია დეკრეტული შვებულების პრაქტიკების გაუმჯობესებასა და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

ასევე, საქართველოს მთავრობის 2021-2025 წლებისათვის შემუშავდა ახალი სტრატეგია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, რომელშიც აღიარებულია ბიზნესში გენდერული სხვაობის არსებობა.

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც არასაკმარისად არის კანონმდებლობით დარეგულირებული: ქალები დეკრეტული შვებულებით სარგებლობის მხრივაც კაცებთან შედარებით არათანაბარ პიროებებში არიან. მიუხედავად იმისა, რომ კანონი ორივე სქესისთვის თანაბარია, კაცებისთვის მაინც ნაკლებად შესაძლებელი ხდება დეკრეტული შვებულებით სარგებლობა. ქალები კი იძულებულები არიან ისარგებლონ და ამის შედეგად შრომის ბაზარზე გენდერული სხვაობა იზრდება.

---

[4]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/323/kortsineba - ბოლოს ნანახი 14.11.2022)

მნიშვნელოვანია საკანონმდებლო ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან მორგება და საჭიროა, დადებითად შეფასდეს, რადგან ამით პროგრესული ნაბიჯები გადაიდგმება გენდერული თანასწორობის მიღწევის გზაზე. ამასთან, გასათვალისიწინებელია ისიც, რომ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები და კანონში შეტანილი ცვლილებები პრაქტიკულად უნდა აღსრულდეს.

## კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა მოიცავდა სხვადასხვა მეთოდს - როგორც რაოდენობრივს, ასევე თვისებრივს. გამოყენებული იყო სამაგიდე კვლევა. კვლევის მეთოდოლოგია დაეყრდნო ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის შესასწავლად საჭირო დოკუმენტებს, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტიდან მოპოვებულ ინფორმაციას, ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ კვლევებს, გამოქვეყნებულ ანგარიშებს.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სხვადასხვა სახის ოფიციალური დოკუმენტის/სტატისტიკის ანალიზს, რომლებიც გამოთხოვილ იქნა სხვადასხვა უწყებიდან.

## კვლევის შედეგი

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რა მდგომარეობაა ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის მხრივ საქართველოში. ნათლად დავინახეთ ის არსებული განსხვავებები და ბარიერები, რომელიც არსებობს ქალთა და მამაკაცთა შორის ეკონომიკურ ჭრილში. ასევე გავაანალიზეთ თუ რა პოლიტიკა აქვს სახელმწიფოს ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით.

## რეკომენდაციები და დასკვნა:

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე საჭიროა:

- შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, როემლიც შეიმუშავებს ქალთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიდგომას.
- დაიხვეწოს მეწარმე ქალების გაძლიერებისაკენ მიმართული სახელმწიფო სტრატეგია.
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 183-ე (დედობის დაცვის), 156-ე (ოჯახური ვალდებულებების მქონე დასაქმებულთა) და 189-ე (ოჯახში დასაქმებულთა) კონვენციების რატიფიცირება და შესრულება.
- შრომის კოდექსისა და საჯარო სამსახურის შესხებ კანონის გაუმჯობესება
- თანაბარი სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების პრინციპის უზრუნველყოფა.
- ეფექტური საინფორმაციო კამპანიის წარმოება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალების ეკონომიკურ გაძლიერებას და სტერეოტიპების მსხვრევას.
- ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების მიერ გენდერულად თანასწორი ბიუჯეტის განხორციელება და მონიტორინგი მის აღსრულებაზე.

და ბოლოს, როგორც აღინიშნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია ქალთა ეკონომიკური გაძლიერება. ეს ხელს შეუწყობს უფრო მეტი

სიმდიდრისა და კეთილდღეობის შექმნას ქვეყანაში. ქალი რომ ეკონომიკურად ძლიერი იყოს, საჭიროა მას ჰქონდეს ფინანსებზე და რესურსებზე ხელმისაწვდომობა, გააჩნდეს არჩევანის საშუალება და კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე. გასულ წლებთან შედარებით ქალთა დასაქმების მაჩვენებელი უფრო მაღალია, თუმცა, ჯერ კიდევ არ გათანაბრებულა მამაკაცების დასაქმების მაჩვენებელთან. საჭიროა ქალების უფრო აქტიური ჩართვა ეკონომიკურ პროცესებში. ამ კვლევიდან გამოიკვეთა, რომ სახელმწიფოს არსებული პოლიტიკა და სტრატეგია ამ მიმართულებით საჭიროებს კიდევ დახვეწას და მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას.

**ბიბლიოგრაფია:**


- გაეროს ქალთა ორგანიზაცია- ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი საქართველო 2021; ბოლოს ნანახია 14.11.2022 https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-04/Country%20Gender%20Equality%20Profile%20GEO.pdf
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია-დასაქმება და გენდერი საქართველოში; ბოლოს ნანახია 14.11.2022 https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-09/Employment%20and%20gender%20in%20Georgia%20Geo.pdf
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია - ქალების ეკონომიკური არააქტიურობა საქართველოში; ბოლოს ნანახია 14.11.2022 https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-09/Women%E2%80%99s%20economic%20inactivity%20geo.pdf
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია - ქალები და სიღარიბე საქართველოში; ბოლოს ნანახია 14.11.2022 https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2022-09/Women%20and%20poverty%20geo.pdf
- გენდერული თანასწორობა საქართველოში: ბარიერები და რეკომენდაციები 2018; ბოლოს ნანახია 14.11.2022 https://www.undp.org/ka/georgia/publications/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-2021
- ელენე რუსეცკაია - ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა:შესაძლებლობები და გამოწვევები; ბოლოს ნანახია 14.11.2022 https://gip.ge/wp-content/uploads/2022/02/%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98_%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%97%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%94%E1%83%9C-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D-%E1%83%9E%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%99%E1%83%90-1.pdf
- სტეფანე ტაკაევი ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და დასაქმების სახელმწიფო ხელშეწყობა საქართველოში 30/01/2022 http://geoeconomics.ge/?p=14033
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. დასაქმება და უმუშევრობა; ბოლოს ნანახია 14.11.2022 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2020. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების და სქესის მიხედვით. ხელმისაწვდომია: ბოლოს ნანახია 14.11.2022 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური--ქორწინება ბოლოს ნანახია 14.11.2022 https://www.geostat.ge/ka/modules/categories/323/kortsineba